დენ დაგანი, ჯუდი დაარი
ჩავთვალოთ თუ არა რუდოლფ შტაინერის ვალდორფის სკოლები არალერიგიურად?

1.რუდოლფ შტაინერი და ანთროპოსოფია

ვალდორფის სკოლები ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია "ანთროპოსოფიური საზოგადოების" მოღვაწეობისა, რომელსაც შვედმა მკვლევარმა სვენ ოვე ჰანსონმა "ევროპაში ყველაზე წარმატებული ოკულტური რელიგია" უწოდა. სხვა მკვლევარები მას "დასავლური ეზოტერიზმის ყველაზე თანამედროვე, განვითარებულ ფორმად" და "მაღალორგანიზებულ ოკულტურ ჯგუფად" მიიჩნევენ.

ანთროპოსოფია ჩაისახა XX საუკუნის დასაწყისში, გერმანიაში გამეფებული სულიერი დაბნეულობის პერიოდში, როდესაც ეგზოტიკური და ოკულტური ჯგუფები სოკოებივით მრავლდებოდნენ; სხვა სიტყვებით – ეს მდგომარეობა ჰგავდა "ახალი ერის" კულტების აფეთქებას 60-იანი წლების ამერიკაში.

ანთროპოსოფიური საზოგადოება შექმნა რუდოლფ შტაინერმა (1861-1925წწ.); იგი ადრე თეოსოფიის გერმანულ ფილიალს ხელმძღვანელობდა, შემდგომ გამოეყო მას და სექტა ჩამოაყალიბა, რომელიც აღიარებდა მის პირად გამოცხადებებს "სულიერი სამყაროს შესახებ". სექტის სიმწიფის ხანა დაემთხვა იმ სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს, რასაც გერმანია განიცდიდა პირველი მსოფლიო ომის დროს და მას შემდგომ.

სექტის საქმიანობაში შედის "ანთროპოსოფიური მედიცინა" (ევროპაში მას საკუთარი საავადმყოფოებიც აქვს), "ბიოქიმიური" სასოფლო მეურნეობა, ცეკვის ეურიტმული სკოლები, "კემპჰილები"–სოფლები არასრულფასოვანი ადამიანებისთვის და "ეკლესია"–სახელწოდებით "ქრისტიანული თემი". მაგრამ თეოსოფიის გავრცელების ყველაზე ეფექტურ პროგრამად ამ სექტის ვალდორფის სკოლები ითვლება, რომელთა წარმატების მაჩვენებელი მათი სიმრავლეა. მთელ მსოფლიოში არსებოს 500-ზე მეტი სკოლა (125 მარტო აშშ-ში). ეს რაოდენობა გამუდმებით იზრდება. ყველაზე ხშირად მათ უწოდებენ ვალდორფის (1919 წელს "ვალდორფ-ავსტრიის" თამბაქოს ფაბრიკის მუშათა ბავშვებისთვის შტაინერის მიერ დაარსებული პირველი ასეთი დაწესებულების პატივსაცემად), ან შტაინერის სკოლებს, ევროპის ზოგიერთ ნაწილში კი უბრალოდ – "თავისუფალ სკოლებს".

2. სწავლება

შტაინერის სწავლების თანახმად, ქრისტე მზის ღმერთია, რომელიც დედამიწაზე მოვიდა არა კაცობრიობის ცოდვების გამოსასყიდად, არამედ ადამიანთა მოდგმის დასახმარებლად, რათა მას წონასწორობა მოეძებნა ლუციფერისა და არიმანის (ნათლისა და ბნელის ზოროასტრული ღმერთების) გავლენათა შორის. შტაინერის გამოცხადებებში, როგორც წესი, არეულია რელიგიური, სამეცნიერო და ისტორიული თემები. ისტორიის მისეულ ვერსიებში მოცემულია თავები დაღუპული კონტინენტების – ლემურიისა და ატლანტიდის შესახებ. მისი მტკიცებით მან, როგორც ნათელმხილველმა ეს ყოველივე ამოიკითხა "აკაშის მითიურ ქრონიკებში".

შტაინერმა თავისი ცენტრალური კონცეფციების ნაწილი: რეინკარნაცია, კარმა და მრავალღმერთიანობა – ინდუიზმიდან თეოსოფიაში გადმოიტანა. ამ ცნებებს დაუმატა ორი ღმერთი დუალისტური ზოროასტრიზმიდან და ეს ნაზავი მოათავსა შუასაუკუნეების ევროპის გეოცენტრული კოსმოლოგიის ჩარჩოებში, რის თანახმადაც კოსმიურ იერარქიაში კაცობრიობა უშუალოდ ზებუნებრივ არსებათა ცხრა დასის შემდგომ საფეხურს იკავებს.

შტაინერის სისტემას აერთიანებს თანაფარდობათა ოკულტური დოქტრინის პრინციპი, რაც გამოისახება ფორმულით – "რაც ზემოთაა, იგივეა ქვემოთ". მაგალითად, შვიდი პლანეტა ესადაგება შვიდ ისტორიულ ეპოქას, ზოდიაქოს თორმეტი თანავარსკვლავედი – ადამიანის სხეულის თორმეტ ასოს, ოთხი სტიქიონი – ადამიანის ტემპერამენტის ოთხ ტიპს და ა.შ. უმცირეს წვრილმანებამდე. ამ მაგიური თანაფარდობით ხასიათდება კოსმოსი, როგორც მყოფობის ერთიანი, ცოცხალი, სულიერი ჯაჭვი.

შტაინერის სამყაროსეული მისტიური შეგრძნება ღრმად პესიმისტურია. მისი ერთ-ერთი წინასწარმეტყველებაა ბნელეთის ღმერთის, არიმანის, განხორციელება XX საუკუნეში. ამ მიმართებით ანთროპოსოფია მეტად წააგავს ფსევდოქრისტიანულ ქილიასტურ სექტებს.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, შტაინერმა ვერ მოახერხა რა დაერწმუნებინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები მიეღოთ მისი უტოპიური პოლიტიკური სისტემა, შეიმუშავა საგანმანათლებლო სქემა, რათა ანთროპოსოფიის საშუალებით მაინც დაწყებულიყო ევოლუციური დონის ამაღლება სულებისა, რომლებიც მომავალ თაობებში განხორციელდებოდნენ (საუბარია რეინკარნაციაზე მთ. შენ.). სექტის ლიდერები და მათ შორის შტაინერი უაპელაციოდ ამტკიცებდნენ, რომ ამ უკანასკნელის გამოცხადება არის ერთადერთი ჭეშმარიტება, ხოლო ცოდნის ყველა დანარჩენი ტრადიცია და სახე მცდარია.

3. ვალდორფის სკოლის მიმზიდველობა.

მშობლები, რომელთაც საერთოდ არაფერი აკავშირებთ ანთროსოფიასთან, რატომ და რისთვის აგზავნიან თავიანთ შვილებს ესოდენ უჩვეულო იდეების გამავრცელებელ სკოლებში? ვალდორფის სკოლები მშობლებისთვის ატარებენ ღია კარის დღეებს, თუმცა სექტანტურ იდეოლოგიას ხელუხლებლად ტოვებენ – მისი აღმოჩენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იცი სად უნდა ეძიო იგი. მომსვლელი კი ხედავს მხოლოდ სკოლის თითოეული თანამშრომლის უზარმაზარ ენთუზიაზმს და შესანიშნავ დეკორაციებს, რაშიც ადამიანთა შეგრძნებების გათვალისწინებით ზედმიწევნით არის შერჩეული ფერები, განათება და მხატვრული გაფორმება. კედლები შეღებილია რბილი, პასტელის ტონებით, თანაც გამოიყენება სპეციალური ტექნოლოგია, რაც ე.წ. ციმციმის ეფექტს ქმნის. კედლებს ამშვენებს ხელოვნების შედევრების რეპროდუქციები, სკოლის მოწაფეთა ნახატები და ბუნების ლამაზი ნიმუშების კოლექცია, რომლებსაც წელიწადის დროების მიხედვით ცვლიან. თითოეული საგნის შესწავლას თან სდევს ზეპირი თხრობის, ხატვის, მუსიკისა და დრამის ელემენტები. მასწავლებლები კათოლიკე მონაზვნებზე ნაკლებ არ ზრუნავენ და გამოხატავენ სიყვარულს ბავშვებისადმი. ყოველ დილას ისინი მოსწავლეებს ხელისჩამორთმევით ესალმებიან და თბილი ღიმილით შეჰყურებენ თვალებში. პედაგოგები თავიანთ აღსაზრდელებს მიჰყვებიან დაწყებითი კლასებიდან ვიდრე ბოლომდე და ბევრჯერ მშობლების მაგივრობასაც უწევენ მათ. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სკოლის გარეგნული ლაზათი, მზრუნველი ატმოსფერო, აგრეთვე მასწავლებელთა იდეალიზმი ვალდორფის სკოლების პედაგოგიკას მშობლებისთვის უჩვეულოდ მიმზიდველს ხდის.

4. მოტყუება

არაანთროპოსოფიური ოჯახებიდან ბავშვების მისაზიდად ვალდორფის სკოლები გარდა გარეგნული მომხიბვლელობისა თავიანთი მიზნებისა ორგანიზაციის შესახებ შეგნებულ და წინასწარ დამუშავებულ ტყუილებს მიმართავენ. ამას შტაინერი იმთავითვე გეგმავდა, მისი მიზანი იყო გამოეყენებინა "გარეშე" პირთა სამსახური და ამასთან სისტემატურად დაემალა სკოლის ნამდვილი მიზნები და სასწავლო გეგმები. 1920 წელს ცდილობდა რა თავისი სკოლისთვის ლიცენზიის მიღებას წერდა: "ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები, რათა ეს ყოველივე გამოგვივიდეს. . . ხოლო იმისთვის, რომ ვაკეთოთ რაც გვსურს, სულ ცოტა აუცილებელია ხალხთან საუბარი, არა იმიტომ, რომ გვსიამოვნებს, უბრალოდ ჩვენთვის ეს აუცილებელია – უნდა გავასულელოთ ისინი."

რადგანაც ვალდორფის სკოლებში ქრისტიანულ სიმბოლიკას იყენებენ არ არის გასაკვირი, რომ მიმსვლელებს იგი ქრისტიანული ჰგონიათ. ქრისტიანმა მშობლებმა ან მათ, ვისაც სურთ საკუთარ შვილებს ქრისტიანულ ტრადიციებზე აგებული ღირსეული განათლება მისცენ შეიძლება ვალდორფის სკოლები ზუსტად ამის გამო შეარჩიონ, გარდა ამისა ამ სასწავლებლის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ საგნით "კაცობრიობის სულიერი ისტორია" ქრისტიანობის გარდა ისწავლება სხვა რელიგიებიც, როგორც ამ ისტორიის განუყოფელი ნაწილი. მაგრამ მოისურვებდნენ კი იგივე მშობლები თავიანთი შვილების მიყვანას ვალდორფის სკოლაში, რომ იცოდნენ მისი დამაარსებლის იმ უცნაური რწმენისა და პრინციპების შესახებ, რითაც

პედაგოგები ხელმძღვანელობენ; ან ერკვეოდნენ თუ რა გავლენას ახდენს ეს უცნაური შეხედულებები თითოეულ საგანზე, რომელიც სკოლაში ისწავლება?

მასწავლებლები, რა თქმა უნდა, დაიწყებენ მტკიცებას, რომ მიუხედავად შტაინერის რელიგიური სწავლებისადმი მათი პირადი რწმენისა, სკოლებში მხოლოდ მის პედაგოგიურ მეთოდებს იყენებენ. მაგრამ ხომ ვიცით, რომ ეს ასე არ არის!

თუ შტაინერის ოკულტური სწავლების შესახებ ანთროპოსოფოსს ჰკითხავთ, იგი მეტად ზოგად პასუხს გაგცემთ, მაგრამ სკოლის პედაგოგიკა ეფუძნება შტაინერის მთელ მემკვიდრეობას, გამონაკლისის გარეშე. მაშასადამე, სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტანციებმა, რომლებიც განიხილავენ ვალდორფის სკოლების ლიცენზირების საკითხს სრულად უნდა გაითვალისწინონ სისტემის შემქმნელის ნაწერების შინაარსი.

შტაინერის მსოფლმხედველობა იკვეთება მის წიგნებში, რომელთაც ანთროპოსოფიური საზოგადოება გამოსცემს და რომლებიც ვალდორფის სკოლებშიც იყიდება. თუ ამ ნაწერებში ჩამოყალიბებულ დოქტრინებზე დაყრდნობით შევადგენთ ერთგვარ "სარწმუნოების სიმბოლოს", მშობლებს გავაცნობთ და ვსთხოვთ ხელი მოაწერონ მას მსურველი იმდენად ცოტა იქნება, რომ ვალდორფის სკოლები უკვე ვეღარ დაიტრაბახებენ მოწაფეთა მრავალრიცხოვნებით: თითოეულ მათგანში ისწავლის ათამდე ბავშვი, ისიც იქაური ანთროპოსოფოსებისა.

ანთროპოსოფიური სახელმძღვანელოები, როგორც ასეთი, არ არსებობს, მაგრამ თუ მშობლები დაინტერესდებიან შეუძლიათ მოიძიონ შტაინერის წიგნები, რომლებშიც უხვადაა წარმოდგენილი 20-იანი წლების გერმანიისთვის დამახასიათებელი ოკულტური, რელიგიური, ცრუმეცნიერული და რასისტული შეხედულებები. მიუხედავად ამისა, ვალდორფის სკოლის მასწავლებლები ამ ტექსტის ავტორებს არწმუნებდნენ, რომ ეს დაწესებულებები არარელიგიურია და საერთოდ არ ეკუთვნის რომელიმე დენომინაციას. მათ მხოლოდ ის აღიარეს, რომ შტაინერის ზოგიერთი სწავლება "საკმაოდ რთულია".

ჩვენ არ ვიცით რა მასალები წარუდგინეს ანთროპოსოფოსებმა ქალაქების მილუოკისა და დეტროიოტის საგანმანათლებლო ოლქების ხელმძღვანელობას, სამაგიეროდ სან-ფრანცისკოს ვალდორფის სკოლამ მოგვაწოდა დოკუმენტი ყალბი მტკიცებულებებით:

"რა მოცულობით ასწავლიან ბავშვებს ანთროპოსოფიასა და შტაინერის იდეებს ვალდორფის სკოლებში?

საერთოდ არ ასწავლიან. იმ დღეს, როდესაც რუდოლფ შტაინერმა გახსნა პირველი ასეთი სასწავლებელი მტკიცედ განაცხადა: "ჩვენ სრულებით არ გვსურს მოზარდებს ვასწავლოთ ჩვენი მსოფლმხედველობრივი იდეები და არსი. ჩვენი მიზანი არ არის განათლება რაღაც განსაკუთრებული დოგმისთვის". თუმცა არსებობს მსოფლიო **ანთროპოსოფიური საზოგადოება**, რომლის წევრებიც ინახავენ ვალდორფის სკოლებს, მაგრამ სკოლასა და ამ საზოგადოებას შორის საერთოდ არ არსებობს რაიმე კავშირი.

არის თუ არა სკოლები რელიგიური?

თუ ეს ნიშნავს ამა თუ იმ დენომინაციასთან ან სექტასთან ერთობას, ვუპასუხებთ — არა! მაგრამ სკოლებს შეიძლება ეწოდოს **რელიგიური** ამ სიტყვის ამაღლებული მნიშვნელობით, ამასთანავე მათ საფუძველს დასავლური ქრისტიანული ცივილიზაცია წარმოადგენს".

შეადარეთ ეს გამონათქვამი იმას, რასაც შტაინერი ამბობდა პირველი ვალდორფის სკოლის მასწავლებელთა დახურულ კონფერენციებზე:

"თქვენ ვალდორფის სკოლის თანამშრომლები, ვალდებულნი ხართ დაგვეხმაროთ მთელი მოძრაობის შესანარჩუნებლად. . . ვალდორფის სკოლას შეუძლია შეიქმნას მყარი საფუძვლები და ამგვარად გახდეს სვეტი და სიმტკიცე მთელი ანთროპოსოფიური მოძრაობისა."

იმას, რომ ეს პოლიტიკა დღევანდლამდე გრძელდება უდაოდ ადასტურებს თანამედროვე ანთროპოსოფოსი მწერლის ჰილბერტ ჩაილზდის სიტყვები: "ვალდორფის სკოლის მასწავლებლები უპირველესად უნდა იყვნენ ანთროპოსოფოსები, მხოლოდ შემდგომ — პედაგოგები".

“არასდროს დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა ამის აღნიშვნა კიდევ და კიდევ: შტაინერის სკოლებში სწავლების მთელი შინაარსისა და პედაგოგიური მეთოდების მიზანია, თითოეულ ბავშვში განავითაროს შეგნება, რომ ყოველივე არსებულის საფუძველი სულია.”

აი, რას წერს ვალდორფის სკოლის მასწავლებელი – მხატვარი და მწერალი მ.ს. რიჩარდსი: “შეიძლება ითქვას, რომ ვალდორფის სკოლების განათლებას აქვს გარეშე პირთაგან **დაფარული** დანიშნულება. მისი პროგრამა დაწერილია ყველა საშუალო სკოლისთვის საერთო ტერმინებით, როგორებიცაა: არითმეტიკა, წერა-კითხვა. . . მაგრამ შტაინერის სკოლებში ყველა ამ საგნის შინაარსს სამმაგი დატვირთვა აქვს – მხატვრული, შემეცნებითი და რელიგიური.”

5. ანთროპოსოფია სკოლის პროგრამაში

ეს სწავლება ორი გზით აღწევს სკოლებში:

ა) სარწმუნოებრივი მოძღვრების პირდაპირი მიწოდებით, ამასთან <u>მოშურნე</u> პედაგოგები უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან ამ მხარეს;

ბ) სასწავლო პროგრამიდან ისეთი ინფორმაციის ამოღებით, რაც ეწინააღმდეგება ანთროპოსოფიას.

სექტის სარწმუნოება სასკოლო პროგრამებში ხვდება იმ მასწავლებელთა მონდომებით, რომლებიც აუცილებლად თვლიან ეს “ჭეშმაირტება” მოსწავლეებს გააცნონ. ხშირად, უმეცრების გამო, ბრმად აღიარებენ შტაინერის იდეებს რომელიმე მოცემული საგნის შესახებ და ვერ აცნობიერებენ, რომ მთელი დანარჩენი სამყარო სულ სხვაგვარად ფიქრობს. შტაინერი ამბობდა: “თქვენ უნდა აიძულოთ ბავშვები შეიგნონ, რომ მათ ობიექტურ ჭეშმარიტებას აწვდიან და თუ ზოგჯერ იგი ანთროპოსოფიას მოგვაგონებს, ეს ამ მოძღვრების ბრალი არ არის. უბრალოდ ასე ხდება. . . ასეა თუ ისე, ჭეშმარიტების შემმეცნებელი აუცილებლად გახდება ანთროპოსოფოსი.”

ზოგჯერ მასწავლებლებს სწამთ, რომ სექტის თითოეული დოქტრინა ყველაზე პროგრესული სამეცნიერო ცოდნაა, მათ კი განსაკუთრებული პატივი ებოძათ – მოწაფეებს გააცნონ იგი. მაგალითად, საგანში “ფიზიოლოგია”, რომელიც ამ სკოლის მე-6 კლასში ისწავლება, შედის გაკვეთილები “თორმეტი გრძნობისა” და ზოდიაქოს ნიშნებზე მათი დამოკიდებულების შესახებ. პედაგოგები ობიექტურ ისტორიული მონაცემების წყაროდ ასაღებენ შტაინერის წიგნს “პოსტატლანტიდის ეპოქა”, რომლის უკანასკნელი ნაწილი – “აკაშას ქრონიკები” – შეიცავს მონაცემებს “დედამიწის ევოლუციის” შესახებ. ხელოვნების გაკვეთილებზე მოსწავლეები იღებენ მასწავლებლის მიერ დაფაზე დახატული ილუსტრაციის ასლებს, ვარჯიშობენ შტაინერისეულ მედიტაციაში “სუფთა ფერის” აკვარელით. . . ისინი დიდ დროს უთმობენ გეომეტრიული ფიგურების მრავალგზის ხაზვას, რათა შეაფასონ “სუფთა ციფრების თვისებები”.

ნებისმიერი ცოდნა, თუკი იგი ეწინააღმდეგება შტაინერის ფრიად თავისებურ დოქტრინებს, უბრალოდ ამოგდებულია სწავლის პროცესიდან. მაგალითად, შტაინერის მტკიცებით გული სისხლს არ გადატუმბავს, ამიტომაც ვალდორფის სკოლის მოწაფეებს აქვთ უფლება ხატონ ადამიანის სისხლის მიმოქცევის მეტად დახვეწილი სქემები, ოღონდ მათ არასდროს განუმარტავენ, თუ როგორ მუშაობს გული. შტაინერი ნიუტონის შეცდომაზე მიუთითებდა და ამბობდა, რომ სინათლის დაშლა მის შემადგენელ ფერებად შეუძლებელია, რადგან სინათლე სუფთა სულია. ბავშვები ვალდორფის სკოლას ამთავრებენ, მაგრამ საეჭვოა მათ ცხადი წარმოდგენა ჰქონდეთ სინათლის სპექტრზე, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკის კურსი ისწავლება როგორც დაწყებით ისე საშუალო სკოლაში.

ვალდორფის სასწავლებელში მომუშავე პედაგოგები თავგამოდებული ანთროპოსოფოსები არიან; ისინი თავიანთი ცხოვრების ამოცანად შტაინერის მსოფლმხედველობის დაცვასა და გავრცელებას თვლიან. საკლასო დაფის ზემოთ, სადაც ქრისტიანულ სკოლებში ჩვეულებრივ ჯვარცმას კიდებენ ვალდორფის სკოლის მასწავლებლები ზშირად მზის გამოსახულებას ათავსებენ. ამავე ადგილას გვინახავს მოცეკვავის გამოსახულებაც, რომლის იდაყვში მოხრილი

მარცხენა ხელი სწორ კუთხეს ქმნის და მიმართულია ზემოთ, მარჯვენა კი ასეთივე სწორი კუთხით – ქვემოთ. ეს არის ღმერთ – მზის ნიშანი ანუ "სვასტიკა".

ამ სასწავლებლებში მეცადინეობები ყოველთვის ლოცვით იწყება. აი, შტაინერის ლექსი, რომელსაც სწავლის წინ ყოველდღე წარმოთქვამენ I-IV კლასის მოსწავლეები:

"მოყვარულნო სხივნო მზისა, მიბოძეთ ნათელი დღისა.
სხეულის ყველა ასოში ვგრძნობ ძალას სულისა.
მზის ნათლის ციალში თაყვანს ვცემ, ღმერთო,
მეუფებას კაცობრივი ძალმოსილების,
ესოდენ უხვად მიმადლებულს ჩემი სულისთვის."

გაუთვიცნობიერებელ ადამიანს ეს შეიძლება მოეჩვენოს ყველა დეისტური რელიგიისთვის მისაღებ საზოგადო ლოცვად, მაგრამ მათთვის ვინც იცის, რომ ანთროპოსოფოსები თაყვანს სცემენ მზეს, ეს ტექსტი სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს.

მილუოკში, სადაც ქალაქის საგანმანათლებლო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ვალდორფის სკოლის, როგორც კერძო ალტერნატიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსებისა, ამავე სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ბეტი სტელიმ განაცხადა, რომ მათ მოახერხეს და სასწავლო პროგრამაში დატოვეს ყველა ლოცვა, ოღონდ სიტყვა "ღმერთი" შეცვალეს გამოთქმით "შინაგანი ნათელი". აღსანიშნავია, რომ სიტყვა "ღმერთი" ვალდორფის სკოლების ლოცვებში ჩართეს 20-იან წლებში. ეს იყო წინასწარგათვლილი ნაბიჯი, რითაც ანგარიში გაუწიეს საზოგადოებრივ აზრს. ანთროპოსოფიურ ნაწერებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება სიტყვა "ღმერთები" და არა "ღმერთი". ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება სრულად ესადაგება შტაინერის მიერ წამოწყებულ "შენიღბვის" პოლიტიკას. იგი ჯერ კიდევ 20-იან წლებში იძლეოდა რჩევას: "რაც შეეხება ამ ყოველივეს, აქ ერთობ მნიშვნელოვანია გარეგნული ფორმა. არასოდეს უწოდოთ ამ ლექსს ლოცვა, ის არის უბრალოდ საკითხავი მეცადინეობის წინ. ყურადღება მიაქციეთ, რომ გარეშე ადამიანებმა არასდროს მოისმინონ მასწავლებლის პირით წარმოთქმული სიტყვა "ლოცვა". ეს დაგეხმარებათ დაძლიოთ საზოგადოებაში გავრცელებული გრძელი გზა ცრურწმენისა, რომლის თანახმადაც ვალდორფის სკოლა ანთროპოსოფიურია".

ვალდორფის სკოლის ყველა მოწაფე ვალდებულია გაიაროს წმინდად ანთროპოსოფიური სულიერი სავარჯიშოების მომცველი ორი განსაკუთრებული საგანი: ფერწერა და ევრიტმია. მოსწავლეებისათვის ფერწერა ყოველწლიური საგანია სწავლის მთელი პროცესის განმავლობაში, მაგრამ ამ გაკვეთილებზე ისინი ეუფლებიან მხოლოდ ტექნიკას – სველ ზედაპირზე ხატვის შტაინერისეულ მეთოდს. სხვა საგნებში მეცადინეობებისას ბავშვები სწავლობენ და იყენებენ ხატვის სხვა მეთოდებსაც, მაგრამ უშუალოდ ფერწერის ზემოაღნიშნული მეთოდით შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ვალდორფის სკოლის ფერწერის გაკვეთილებს არფერი აქვთ საერთო შემოქმედებასთან ან თვითგამოხატვასთან. მათი ფარული ამოცანაა – იმოქმედონ მოწაფეთა ქვეცნობიერებაზე სუფთა ფერებისა და სიმბოლურ ნიშნებზე მედიტაციის გზით.

ევრითმიაში ყველა მოწაფე კვირაში ორჯერ მეცადინეობს. ფერწერის მსგავსად ესეც "სულიერი და სამკურნალო" ვარჯიშია. ევრითმიას ქმნიან თანხმოვნები (12 – ზოდიაქოს ნიშნების რაოდენობისა მიხედვით), ხმოვნები (7 – შეესაბამება შვიდ პლანეტას), 12 მუსიკალური გასაღები, 7 ინტერვალი და გეომეტრიული ფიგურები. გარეშე ადამიანს ეს ყველაფერი სრულ უაზრობად ეჩვენება, მაგრამ განდობილებს სჯერათ, რომ ევრითმია ანგელოზთა ჭეშმარიტი ენაა.

ვალდორფის სკოლების სექტანტურობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია უარყოფა ყოველგვარი გარეშე იდეისა, როგორც პედაგოგიკაში, ისე სასწავლო საგნებში. ვალდორფელებს საკუთარი მეთოდები აქვთ, რომლებიც თავიანთი მასწავლებლისგან მიიღეს. რაკი შტაინერი უკვე გარდაცვლილია, ყოველგვარი დამატება ან ცვლილება მათთვის მიუღებელია.

ვალდორფის სკოლის მასწავლებლები სწავლებას გადიან მხოლოდ ვალდორფის პედაგოგიურ და პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტებში. ისინი არ შედიან ჩვეულებრივ სასწავლებლებში და არ ითვლებიან რეგიონალური ან ნაციონალური პედაგოგიური ორგანიზაციების წევრებად. ასევე იზოლირებულნი არიან მოწაფეებიც. მაგალითად, სან-ფრაცისკოს ვალდორფის სკოლის მოწაფეებს ზუსტ მეცნიერებებს ასწავლიან, მაგრამ არ მიჰყავთ ექსკურსიებზე "ექსპლორატორიუმში" (ეს საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო მუზეუმია ამავე ქალაქში, სადაც შეიძლება საკუთარი ხელით ჩაატარო ნებისმიერი ცდა), რადგანაც მუზეუმის ექსპოზიციის შინაარსი ეწინააღმდეგება შტაინერის "გამოცხადებებს". დაწყებითი კლასის მოსწავლეებს კომპიუტერზე ხელის ხლებასაც კი უკრძალავენ; გარეშე პირებს კი განუმარტავენ, რომ ბავშვი არ უნდა იყენებდეს ისეთ მექანიზმებს, რომელთა მოქმედების პრინციპიც მისთვის გაუგებარია. ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ კომპიუტერებს ბოროტების ღმერთის– არიმანის განხორციელებად თვლიან. ეს კარგი მაგალითია საიმისოდ, თუ როგორ დამანგრეველ გავლენას ახდენს საიდუმლო დოქტრინები სასწავლო პროგრამის შინაარსზე.

6. მილუოკი

ამერიკული ქალაქების, მილუოკისა და დეტროიტის ხელმძღვანელობამ დაიწყო ვალდორფის სკოლების დაფინანსება, რომლებიც სახელმწიფო ალტერნატიულ სკოლებად ჩამოყალიბდნენ. ამ სტატუსის მისაღებად ვალდორფელებს უნდა დაექირავებინათ "გარეშე" მასწავლებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, მაგრამ ნებას ვერ მისცემდნენ აღნიშნულ სკოლაში ესწავლებინათ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იზიარებდნენ მათ რელიგიურ დოქტრინას. ამ დილემის გადასაწყვეტად ვალდორფელებმა დაუყონებლივ მიჰყვეს ხელი მასწავლებელთა რელიგიურ "ინდოქტრინაციას". "დამსახურებული" პედაგოგის ბეტი სტალის სიტყვებით, პედაგოგებს ასწავლიდნენ რუდოლფ შტაინერის ბიოგრაფიას, ბავშვების განვითარებას, ვალდორფის სასწავლო პროგრამების საფუძვლებს და მის მიმართებას მოსწავლის აღზრდასთან, ოთხი ტემპერამენტის თავისებურებებს. ახალი მასწავლებლები აცნობიერებდნენ საკუთარი შინაგანი ცხოვრების განვითარების მნიშვნელობას, რაც მიიღწეოდა ჯგუფური ვარჯიშებითა და ხელოვნების გზით თვითტრანსფორმაციის პროცესით.

პირველი შემაშფოთებელი ნიშანი არის ის, რომ სკოლის დამაარსებლის ბიოგრაფია სიის თავში აღმოჩნდა, დანარჩენი საგნები კი ტიპიური მაგალითია სექტის მიერ ჩვეული სახელწოდებების გამოყენებისა, რომლებშიც ისინი სულ სხვა რამეს გულისხმობენ. მაგალითად, როდესაც ანთროპოსოფოსები ბავშვის განვითარებაზე საუბრობენ, მათ მხედველობაში აქვთ შტაინერისეული სამი შვიდწლიანი ციკლი (მისტიური რიცხვი), რომლის განმავლობაშიც სულიერი სამყაროდან წამოსული ბავშვის სული თანდათანობით განხორციელდება; ხოლო ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულები, მთავარი ანთროპოსოფოსის განმარტებით, სათანადო კავშირს ამყარებენ ურთიერთთან, რათა განხორციელდეს "შინაგანი მე", რომელიც აქამდე სიკვდილსა და ახალ დაბადებას შორის იყო გაჩერებული. ტემპერამენტის მიხედვით ადამიანთა ოთხ ჯგუფად დაყოფა შუასაუკუნეების ევროპული ფიზიოლოგიის გამოძახილია, რითაც შტაინერი გატაცებული იყო. ვალდორფის სკოლის პედაგოგები პიროვნებებს აჯგუფებენ სანგვინიკებად, მელანქოლიკებად, ფლეგმატიკებად ან ქოლერიკებად და ბავშვებსაც ამ ტიპების მიხედვით "ახარისხებენ". ჯგუფური ვარჯიშები სინამდვილეში შტაინერის მედიტაციურ პრაქტიკას წარმოადგენს. სტალის ცნობით, ახალმა მასწავლებლებმა შტაინერის დოქტრინა აღფრთოვანებით მიიღეს.

7. დასკვნები

ვალდორფის სკოლები შექმნილია რუდოლფ შტაინერის სწავლების გასავრცელებლად, რომელიც უდაოდ რელიგიური ხასიათისაა. მაშასადამე, რელიგიურია ნებისმიერი ვალდორფის სკოლაც. მტკიცება, თითქოს მის პედაგოგებს (რომლებმაც რელიგიური მომზადება გაიარეს) შეუძლიათ საკუთარი რელიგიური შეხედულებანი საკლასო ოთახის ზღურბლზე დატოვონ

აშკარა სიცრუეა. ანთროპოსოფია ტოტალიტარული სისტემაა და ძალზე საჭვოა, რომ სახელმწიფო არარელიგიურმა სკოლებმა შეძლონ შტაინერის პედაგოგიკის გამოყენება.

ჟურნალი ” Free Inquiry”, 1994 გაზაფხული, ტ.14 №2
(შემოკლებული თარგმანი)